

წიგნების გამოცემა და
წიგნებით ვაჭრობა
საქართველოში

წიგნის გამომცემელთა და
დისტრიბუტორთა კვლევის შედეგები
2012-2013


კვლევის მეთოდოლოგია,
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი:
თამარ ჯანაშია და გიორგი
საბანაძე რუდიგერ ვიშენბარტის
მხარდაჭერით

კვლევის კომენტარები:
რუდიგერ ვიშენბარტი

ქართული თარგმანი:
თამარ ჯანაშია

ეს პუბლიკაცია არ ასახავს Next Page Foundation-ის ოფიციალურ შეხედულებებს

This work is licensed under a Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 2.5 License



განკუთვნილია მხოლოდ უფასო გავრცელებისათვის.

შინაარსი

წიგნების გამოცემა და წიგნებით ვაჭრობა საქართველოში:
მაღალი რისკი და პროფესიული ამბიციები გამომცემლობის ცვალებად ბიზნესში
რუდიგერ ვიშენბარტი.....გვ. 4

საქართველო
ზოგადი ინფორმაცია ეკონომიკის, განათლების, წიგნების გამოცემის, ლიცენზირების,
საბიბლიოთეკო სისტემისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ
თამარ ჯანაშია.....გვ. 9

კვლევის მეთოდოლოგია, მასშტაბი და შეზღუდვები
თამარ ჯანაშია და გიორგი საბანაძეგვ. 16

წიგნის გამომცემლები: კვლევის შედეგები
თამარ ჯანაშია და გიორგი საბანაძეგვ. 18

წიგნის გამავრცელებლები და მაღაზიები: კვლევის შედეგები
თამარ ჯანაშია და გიორგი საბანაძეგვ. 27

დამატებითი მასალისა და ამ ბროშურის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე:
www.bookplatform.org

- წიგნის გამომცემლობების, გამავრცელებლებისა და მაღაზიების კვლევის კითხვარი
- სხვა სასარგებლო საერთაშორისო კვლევები საგამომცემლო სექტორის შესახებ (უმეტესად ინგლისურად)

წიგნების გამოცემა და წიგნებით ვაჭრობა საქართველოში: მაღალი რისკი და პროფესიული ამბიციები გამომცემლობის ცვალებად ბიზნესში

რუდიგერ ვიშენბარტი¹

მიმოხილვა

საქართველოს მოსახლეობა 4,6 მილიონ ადამიანს შეადგენს, რომელთაგან 84% ეთნიკური ქართველია. საქართველომ, რომელსაც ხანგრძლივი და გამორჩეული კულტურული ტრადიცია და საკუთარი ანბანი აქვს, დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990 წელს მოიპოვა. მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემებისა და 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” მომდევნო პერიოდში საქართველომ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. განსაკუთრებულად კარგად მან ეკონომიკური კრიზისისა და მეზობელ რუსეთთან 2008 წლის სამხედრო დაპირისპირების დამლევა მოახერხა.

ეკონომიკური და სხვა შესაბამისი პარამეტრები

ახლანდელი მთლიანი შიდა პროდუქტი სულ მოსახლეზე 5,930 აშშ დოლარს შეადგენს (2012, საერთაშორისო სავალუტო ფონდი; 2010 წელს მშპ 5,064 აშშ დოლარი იყო).

შიდამეურნეობების 37%-ს აქვს საკუთარი კომპიუტერი. მათგან 90% უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომით (2011).

საავტორო უფლებები / სამართლებრივი ჩარჩოები

1995 წლიდან საქართველო ბერნის კონვენციის წევრია.

ქართული წიგნის ბაზარი

საგამომცემლო ბიზნესი

საქართველოს საგამომცემლო ბიზნესი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად და უწყვეტად ვითარდებოდა. მისი ბრუნვა 2011 წელს 24 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა (2007 წელს ის 6 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა), გაყიდული წიგნების რაოდენობამ კი 7,7 მილიონს მიაღწია (2007 წელს ეს რიცხვი 2,3 მილიონი იყო).

2011 წელს საქართველოში 3,420 ახალი დასახელების წიგნი (მათ შორის 1,126 მხატვრული ლიტერატურის კატეგორიაში) საშუალოდ 800-იანი ტირაჟით გამოიცა (2009 წელს 2,757 დასახელება). ბოლო წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი წლიური ზრდა დაფიქსირდა როგორც ახალი დასახელებების, ისე ძველი დასახელებების ხელახლა გამოცემის თვალსაზრისითაც. 2010 წელს 266 თარგმნილი წიგნიდან უმეტესობა (102) ინგლისურენოვანი იყო. ინგლისური ენიდან თარგმანებს მოსდევდა ფრანგული (50), რუსული (44) და გერმანული (42) წიგნები. რამდენიმე კულტურული ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება (ბრიტანეთის საბჭოსა და გოეთეს ინსტიტუტის ჩათვლით) მხარს უჭერს თარგმანების განხორციელებას.

68-ზე მეტი რეგისტრირებული გამომცემლობიდან 45 საქართველოს წიგნის გამომცემლთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წევრია.

¹ რუდიგერ ვიშენბარტი არის Content and Consulting-ის (ვენა, ავსტრია) დამფუძნებელი და მფლობელი. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს www.wischenbart.com

გამომცემლობის ბიზნესის საქართველოში ძირითადად მცირე კომპანიებისგან შედგება. კვლევის თანახმად, ქართული საგამომცემლო კომპანიების 70%-ის თანამშრომელთა რიცხვი ათზე ნაკლებია. ნახევარზე მეტი კომპანიების შემოსავალი კი წელიწადში 50,000 ლარს (დაახლ. 30,200 აშშ დოლარი) არ სცილდება. საგამომცემლო კომპანიების მსგავსი სტრუქტურა აქვთ წიგნებით ვაჭრობის სფეროში მოქმედ კომპანიებსაც (იხ. ქვემოთ).

გამომცემლების ძირითად პროდუქტს მხატვრული ლიტერატურა (26%) და ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა (28%) წარმოადგენს, თუმცა ყურადღებიდან არ უნდა გამოვრჩეს სასკოლო წიგნების (11%) შედარებით მცირე ბაზრის წილიც.

საგანმანათლებლო გამოცემები

ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (თავიდან ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, მოგვიანებით კი განათლების განვითარების ხარისხის ეროვნული ცენტრის საშუალებით) ავითარებდა სასწავლო გეგმებს და იწვევდა გამომცემლებს მათ მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების წარდგენასა და შეფასებაში მონაწილეობის მისაღებად. სამინისტროს მხრიდან მოწონების შემთხვევაში გამომცემლობებს ეძლეოდათ უფლება, დაებეჭდათ სახელმძღვანელოები და წარედგინათ ისინი სკოლის მასწავლებლებისთვის შეფასებისა და შერჩევისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოებს სკოლები არჩევდნენ, მათ მშობლები ყიდულობდნენ.

2013 წლის გაზაფხულზე სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სახელმძღვანელოები საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდებოდათ. სამინისტროს გადაწყვეტილებით არ მოხდება მათი უშუალოდ გამომცემლობებისგან შესყიდვა. მათ ოთხი სტამბა დაბეჭდავს. იგეგმება საავტორო უფლებების მქონე პირებისა და გამომცემლობებისთვის მცირე (სიმბოლური) კომპენსაციის გაცემა წიგნის ბეჭდვის ფასის 10%-ის ოდენობით.

2010 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამაში (PISA), რომელსაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Cooperation and Development, OECD) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ატარებს (<http://www.oecd.org/pisa/participatingcountrieseconomies>).

ბიბლიოთეკები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თავისი 3,6 მილიონი წიგნის შემცველი კოლექციით წარმოადგენს ქვეყნის ყველაზე მთავარ საცავს, რომელიც ამავე დროს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ. საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია, IFLA და ევროპული საბიბლიოთეკო ქსელი) წევრიცაა.

წიგნებით ვაჭრობა: გამავრცელებლები და მაღაზიები

გამომცემლობების მიერ გამოშვებული პროდუქციის გაყიდვების თითქმის 90% პირდაპირ წიგნის მაღაზიების (51%) ან ბითუმად მოვაჭრეების (38%) საშუალებით ხორციელდება. წიგნების ონლაინ გაყიდვები საერთო რეალიზაციების მხოლოდ დაახლოებით ერთ პროცენტს შეადგენს.

როგორც გამომცემლობების, ისე წიგნების გამავრცელებლებისა და მაღაზიების შემთხვევაშიც, ბაზარზე უმეტესად მცირე, კერძო მფლობელობაში მყოფი კომპანიები ოპერირებენ. მათ 36%-ს ხუთი ან ხუთზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავთ, დანარჩენ 43%-ს 6-დან 10-მდე თანამშრომელი. წიგნებით მოვაჭრეების უმეტესობა არ წარმოადგენს გამომცემლობების ნაწილს, თუმცა სამ კომპანიას, რომლებიც ასევე გამომცემლობებიცაა (პალიტრა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და დიოგენე), სხვებთან შედარებით ერთად ბაზრის გაცილებით უფრო დიდი წილი უკავიათ.

წიგნის გავრცელება-გაყიდვის საშუალო მოგების მარჟა დაახლოებით 40%-ს შეადგენს. გამომცემლობები თანხას ჩვეულებრივ მხოლოდ წიგნის გაყიდვის შემდეგ იღებენ.

იმპორტი და ექსპორტი

ისევე, როგორც წიგნების მცირე ბაზრების უმეტესობის შემთხვევაში, იმპორტირებული წიგნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოში. 2012 წელს იმპორტის უდიდესი ნაწილი რუსეთიდან ხორციელდებოდა. მას მოსდევდა წიგნები ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან (32%).

კვლევისადმი მიდგომა და მეთოდოლოგია

ეს ანგარიში ეყრდნობა იმ 34 გამომცემლობის, სამი სადისტრიბუციო კომპანიისა და თორმეტი მაღაზიის კვლევას, რომლებიც კითხვარის შევსებას დათანხმდნენ. კითხვარი მოიცავდა საქართველოს საგამომცემლო ბიზნესის ყველა ასპექტს. ეს იყო პირველი მცდელობა, მომხდარიყო საგამომცემლო ინდუსტრიის პირდაპირ და სტატისტიკურ მონაცემებზე, მრავალ სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ საგამომცემლო სფეროში მომუშავე კომპანიების წარმომადგენლები თავს არიდებდნენ მონაცემების მოწოდებას ან კითხვებზე პასუხის გაცემას, რასაც სხვა მიზეზებს შორის ინფორმაციის არარსებობით ხსნიდნენ (მაგ. კომპანიაში კომპიუტერული პროგრამების არქონა და ა. შ.).

შედეგად, ანგარიშში შესული მონაცემები გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს, თუმცა ზოგადად საგამომცემლო ბიზნესის, მისი მთავარი მოქმედი პირებისა და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ საკმაოდ კარგი წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევა. კვლევა კარგი საწყისი წერტილია მომავალ წლებში ჩასატარებელი ბაზრის შემდგომი ანალიზისთვის.

ანგარიში და ანალიზი დეტალურად გვიჩვენებს საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში საგამომცემლო საქმისა და წიგნებით ვაჭრობის ფართო ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში განვითარებასა და დღევანდელ მზაობას როგორც ადგილობრივი ბაზრის მომავალი პროფესიული გაუმჯობესების, ისე რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე გაფართოებისთვის. კვლევა ცალკე გამოყოფს პარალელურ პროცესს, რომლის დროსაც ერთი მხრივ ადგილობრივი წიგნით მოვაჭრეების, მეორე მხრივ კი გამომცემლობების კონსოლიდაცია ხდება. ამან შესაბამის სფეროებში მოღვაწე რამდენიმე ყველაზე ძლიერ ადგილობრივ მოთამაშეს თავისი ბაზრის წილის გაფართოების საშუალება მისცა, თუმცა მცირე კომპანიები ჯერ კიდევ მათთვის შესაფერისი ბიზნეს მოდელის ძიების პროცესში დატოვა. ამავე დროს საერთაშორისო ბაზრის ლიდერები საქართველოშიც გამოჩნდნენ. ისინი კონკურენციას უქმნიან ადგილობრივ ინდუსტრიას და მოქმედებენ იმ მოდელის შესაბამისად, რომელიც მსოფლიოში არსებული ბევრი პატარა და გარდამავალი კულტურული ბაზრის ისტორიიდანაა ცნობილი. ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის დაწყებული პროფესიული მსჯელობა და საქართველოში მოქმედი წიგნის ბაზრის წარმომადგენელთა შორის ინფორმაციის გაცვლა, რის ხელშეწყობას ეს კვლევაც ცდილობს, შესაძლოა, მთელი ინდუსტრიისთვის გახდეს სასარგებლო.

პერსპექტივა: შესაძლებლობები და გამოწვევები

ქართული საგამომცემლო ბიზნესის წინამდებარე კვლევის მთავარი გამოწვევაა ამ სფეროში მოქმედ კომპანიებს მათი საქმიანობის შესახებ ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლის სასარგებლო მხარეები დაანახოს. ამგვარი რამის წარმატებით გაკეთება საკმაოდ რთულია, თუ გავითვალისწინებთ წიგნის ბაზრისა და წიგნის კულტურის ანალიზის სფეროში არსებულ ძლიერ საერთაშორისო სტანდარტებსა და ნიშნულებს.

და მაინც, ქართული წიგნის ბიზნესი იმეორებს სხვა ქვეყნებში არსებული პროცესების მსგავს ტენდენციებსა და განვითარების გზას:

- მკითხველები კითხვის უპირატესობების გააზრებისას უფრო და უფრო ხშირად ინტერესდებიან ტრადიციული ჩარჩოების გაფართოებით. არა აქვს მნიშვნელობა იმას, კითხვა დასვენების, განათლების, გართობის თუ სამუშაოსთვის ხდება. წიგნების კითხვა მუდმივად მზარდი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს. ეს ეხება როგორც განსხვავებულ შინაარსს, ისე აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის სხვა ფორმატებსაც;
- პატარა ქვეყნებში და ენის გავრცელების თვალსაზრისით პატარა წიგნების ბაზრებზე იმპორტი იზრდება, რაც კიდევ უფრო დიდ კონკურენციას უქმნის ტრადიციულად კონსერვატულ კულტურულ ინდუსტრიას;
- სახელმწიფოს მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია კულტურასა და განათლებაზე, საჯარო ბიბლიოთეკებზე თანხების ხარჯვა. ამ დანახარჯების მოცულობა ხშირად საკმაოდ შეზღუდულია, რასაც ადგილობრივი გამომცემლობები და მოვაჭრეებიც გრძნობენ;
- მთელი ეს ძალები ნებისმიერ არსებულ ბაზარზე მხოლოდ მოქმედ ძლიერ მოთამაშეებს აძლევს ხელს, პატარა კომპანიებს კი არაჩვეულებრივი გამოწვევების წინაშე აყენებს და კონსოლიდაციის ძლიერი წნეხის ქვეშ ამყოფებს. მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე ახერხებს ბაზრის უფრო დიდი (და მზარდი) წილის დაპატრონებას;
- მსოფლიო ბაზრის ისეთი აბსოლუტურად ახალი მოთამაშეები, როგორებიც არიან Amazon, Apple ან Google მაშინვე იპყრობენ ყურადღებას და ახდენენ გავლენას ბაზრის მსყიდველობით უნარზე. მომხმარებლები ადგილობრივი ინდუსტრიის გვერდის ავლით უშუალოდ ეწევიან წიგნების იმპორტს. ამ ახალი ფენომენის შესახებ ზუსტი მონაცემები ჯერ კიდევ შეგროვებასა და ანალიზს საჭიროებს.

ამ ყველაფრის შედეგად ტრადიციული დაინტერესებული მხარეები ყველაზე დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებიან. თუმცა, ამავე დროს, ეს პროცესები ბაზარზე ბიზნესის ახალ შესაძლებლობებსაც აჩენს მათთვის, ვინც სიახლის დასანერგადაა მზად.

ახალ კონტექსტში წარმატების მისაღწევად გარკვეული მნიშვნელოვანი წინაპირობებია საჭირო:

- ნათელი წარმოდგენა ადგილობრივ ბაზარზე, მის მოთამაშეებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ეს კვლევა სწორედ ამ მიზნის მიღწევას ცდილობს;
- უნდა მოხდეს ადგილობრივი და სხვა ბაზრების პრაქტიკის შედარება, ადგილობრივი ბიზნესის შესწავლა და მისი გაუმჯობესება;
- მთავრობისთვის უახლესი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის უფლების მიცემა, რისთვისაც ისევ და ისევ ადგილობრივი ინდუსტრიის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებაა საჭირო.

ფართო პერსპექტივებსა და ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ძირითად მიზნებზე დაყრდნობით შეიძლება შემუშავდეს რამდენიმე შეთავაზება, რომლებსაც მომავალი წლების განმავლობაში საგამომცემლო ბიზნესის უკეთესი განვითარება შეეძლება:

- აიღეთ არსებული კვლევა როგორც საწყისი წერტილი იმისთვის, რომ მოხდეს ინფორმაციის ყოველწლიურად თანმიმდევრულად განახლება და გაუმჯობესება;
- შექმენით უფრო დეტალური ჩანაწერები წიგნებისა და პუბლიკაციების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ (დათვლილი ცალობით) იმის დეტალური მითითებით, საიდან ხორციელდება იმპორტი. დაგროვილი მონაცემები (ზოგადი ანგარიშები, საკვანძო ინფორმაცია) გამოსახეთ ცხრილების სახით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისა და მედიისთვის როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. იდეალური იქნება, თუ ეს ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსდება;
- ხელი შეუწყვეთ ყოველწლიური “საგამომცემლო ბიზნესის დღის” ჩატარების ტრადიციის დანერგვას. შეკრიბეთ ერთად ყველა დაინტერესებული პირი, რათა განიხილოთ ინდუსტრიის განვითარების საკითხები და გაუზიაროთ ერთმანეთს საუკეთესო გამოცდილება, განსაზღვროთ მომავალი გაუმჯობესებისკენ მიმართული მიზნები. ამან უნდა მოიცვას შემდეგი ქმედებები:
- ორგანიზება გაუკეთეთ წიგნების გამყიდველებისა და გამომცემლებისთვის განკუთვნილ ღია სემინარებსა და ვორქშოპებს, რათა შედეგები ფართო საზოგადოებას გააცნოთ, აუხსნათ მათი მნიშვნელობა ბიზნესის გაუმჯობესების საქმისთვის და აამაღლოთ დაინტერესებულ პირთა მზაობა მომავალში კვლევისთვის მეტი ინფორმაციის მოსაწოდებლად;
- შემოიღეთ სპონსორობის პროგრამა გამომცემლობებსა და სადისტრიბუციო კომპანიებში/მაღაზიებში მომუშავე იმედის მომცემი ახალგაზრდა თანამშრომლებისთვის, რათა მათ საერთაშორისო ინსტიტუტებში (მოკლევადიანი პროგრამები, მაგ. საზაფხულო სკოლები და გრძელვადიანი კურსები) პროფესიული წვრთნის კურსები გაიარონ და გაიძლიერონ პროფესიული უნარ-ჩვევები. გრანტების შერჩევის პროცესი შესაძლოა დაემთხვეს არსებულ ლიტერატურულ კონკურსს ან ფესტივალს იმისთვის, რომ მოხდეს ზოგადად წიგნების გამოცემის სფეროში მაღალი პროფესიული სტანდარტის არსებობის საჭიროების ხაზგასმა.
- საგანმანათლებლო წიგნების გამოცემის შემთხვევაში შესაძლებელია ყოველწლიური ისეთი ვორქშოპის მოწყობა, სადაც ერთად შეიკრიბებიან სახელმძღვანელოების ავტორები, გამომცემლები, მასწავლებლები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. იდეალური იქნება, თუ ვორქშოპს დაესწრება საერთაშორისო პროფესიული განათლების მქონე მენტორი, რომელიც მედიაციას გაუწევს სახელმძღვანელოების გამოცემის სტანდარტების შესახებ მოლაპარაკებებს.

ქართული საგამომცემლო ბიზნესის ანალიზმა ცხადყო, რომ არსებობს რამდენიმე სფერო, სადაც ინდუსტრიის გაძლიერების მიზნით სხვადასხვა მიდგომის გაუმჯობესებაა აუცილებელი:

- ხელი შეუწყვეთ გამომცემლებს, დისტრიბუტორებსა და წიგნის მაღაზიებს ბიზნესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ინვენტარის მენეჯმენტის კომპიუტერული სისტემა დანერგონ. გარდა ამისა, მათ უნდა შემოიღონ უფრო გამჭვირვალე ხარჯთაღრიცხვის, საავტორო ჰონორარების გადახდებისა და ა. შ. მეთოდები.

ამ შემთხვევაში ძალიან სასარგებლო იქნებოდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ვორქშოპი საერთაშორისო პრაქტიკის მქონე მოწვეული ისეთი ექსპერტის ხელმძღვანელობით, რომელიც ამგვარი სისტემების გამოყენების საჭიროებას ახსნიდა.

ეს პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს აღქმის კიდევ უფრო გაღრმავებას იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს დღევანდელ დღეს საგამომცემლო ბიზნესში პროფესიული ღირებულების დარიცხვის ჯაჭვი. უნდა მოხდეს ამ სფეროში მოღვაწე ქართული კომპანიების ძირითადი ბიზნეს-პრაქტიკის გაუმჯობესება.

- მოახდინეთ ისეთი პროფესიული დებატების ორგანიზება, რომლებიც ხაზს გაუსვამს საგანმანათლებლო საგამომცემლო სექტორის საქმიანობის მნიშვნელობას. ეს ის სეგმენტია, სადაც კვლევის შედეგები არასაკმარისი მონაცემების გამო ყველაზე ნაკლებად თანმიმდევრული იყო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან გარე კონკურენციის გამო სავარაუდოდ ახლო მომავალში შესაბამისი სექტორი ყველაზე ძლიერი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება;
- კვლევის თანახმად მხოლოდ რამდენიმე ქართული გამომცემლობა აღმოჩნდა წარმატებული ქართველი ავტორების საავტორო უფლებების საერთაშორისო დონეზე გაყიდვისას. ამ სფეროში მუშაობის გაგრძელება და არსებული დაფინანსების სქემის გაფართოვება (სხვა პატარა ბაზრებისა და ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე) საერთაშორისო წიგნის ბაზრობებისა და თარგმანზე სპეციალიზებული პროფესიული პლატფორმების ხელშეწყობის გზით თანამედროვე ქართული ლიტერატურის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

გამოწვევების საპასუხოდ და არსებული შესაძლებლობების საკუთარი უპირატესობისთვის გამოსაყენებლად ქართულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს კოლეგებთან საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბაზრობების საშუალებით უნდა მოხდეს.

საქართველო ზოგადი ინფორმაცია ეკონომიკის, განათლების, წიგნების გამოცემის, ლიცენზირების, საბიბლიოთეკო სისტემისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ

თამარ ჯანაშია

ეკონომიკა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად 1990-იან წლებში მკვეთრი ეკონომიკური დაღმასვლის გზას დაადგა. ამ პერიოდს ახასიათებდა მაღალი ინფლაცია, საბიუჯეტო და ენერგოდეფიციტი (ელექტროენერჯის ხშირი გათიშვა, გაზისა და საწვავის მიწოდების შეფერხება), მაგრამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, უპირველეს ყოვლისა კი მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გაცემული გრანტებისა და სესხების წყალობით ქვეყანამ მოახერხა გაჭირვებისა და აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებების გადალახვა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (სხვადასხვა საწარმოს პრივატიზაცია, სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება) და ეროვნული ვალუტა “ლარის” შემოღება. ეკონომიკურ ცვლილებებს მოჰყვა პოტენციალის მექანიზმებისა და ადამიანური რესურსების განვითარების ინიციატივები, რომლებიც აუცილებელი იყო ახალი დროის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკამ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ტემპი გამოავლინა. რეფორმების სერია, რომელიც მთავრობის ცვლილებას მოჰყვა თან, მოიცავდა გამარტივებულ საგადასახადო კოდექსს, 2004 წელს უცვლელი სამემოსავლო გადასახადის შემოღებას, გადასახადების რაოდენობის შემცირებას, გაუმჯობესებულ საგადასახადო ადმინისტრირებას, ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, ლიბერალიზებულ ეკონომიკას, ლიცენზირების შემცირებულ რაოდენობას, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებას, პოლიციისა და განათლების რეფორმებს. ამას შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და საქართველოს ინვესტიციებისა და ბიზნესის წარმოებისათვის მიმზიდველ ადგილად გადაქცევა. სამწუხაროდ, ქვეყნის სწრაფი განვითარება 2008 წელს ნაწილობრივ რუსეთთან ომის, ნაწილობრივ კი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო შენედა (-3,8%). მართალია, საქართველომ მოახერხა 2010-2011 წლებში პრობლემებისთვის თავის დაღწევა, მაგრამ მან ვეღარ მოახერხა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების იმავე დონის შენარჩუნება, რომელიც მას კონფლიქტამდე ჰქონდა. 2003-2011 წლებში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 8,9 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წელს 2 მილიარდ დოლარს შეადგენდა (წლიური ზრდის 69,3%).² ამის პარალელურად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამო საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხის მოცულობა 2011 წელს რეკორდულ მაჩვენებლამდე 1,26 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (რუსეთიდან, იტალიიდან, აშშ-დან, უკრაინიდან, ესპანეთიდან და ა. შ.).³

მიუხედავად 2008 წლის ომით გამოწვეული გარე შოკისა და ეკონომიკური კრიზისისა რეფორმების წყალობით საქართველოს ეკონომიკა უფრო მრავალფეროვანი გახდა და 2004-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოდ 10%-იანი ზრდა აჩვენა. 2007 წელს ზრდის უმაღლესმა ნიშნულმა 12,3%-ს მიაღწია. ზოგადი მაჩვენებლების თანახმად 2007 წელს საქართველოს ეკონომიკა 35%-ით გაფართოვდა, უმუშევრობის დონე კი 2010 წელს 16,3%-მდე შემცირდა (2009: 16,9%).⁴

ამ დროისთვის საქართველოს ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა ტურიზმი, ღვინის წარმოება, ციტრუსებისა და თხილის მოყვანა და ისეთი ბუნებრივი რესურსები როგორებიცაა ხის მასალები, ჰიდროელექტროენერჯია, მანგანუმის საბადოები, რკინის მადანი, სპილენძი, ოქრო. ქვეყანა ძლიერადაა დამოკიდებული ბუნებრივი გაზისა და საწვავის იმპორტზე, თუმცა მოაგვარა ელექტროენერჯის პრობლემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უმოქმედოდ დარჩენილი ჰიდროელექტროსადგურების

² წყარო: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng

³ წყარო: <http://nbg.ge/index.php?m=306>

⁴ წყარო: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng

აღდგენის საშუალებით. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის გახსნა, რამაც მას ევროპული ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორისა და ენერჯოუსაფრთხოებისა და რესურსების გამტარის მნიშვნელოვანი როლი დაუმკვიდრა.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2007-2011 წლებში⁵

	2006	2007	2008	2009	2010	2011*	I 12*	II 12*
მშპ ახლანდელ ფასად, მილიონი ლარი	13,79	16,99	19,07	17,99	20,74	24,23	5,66	6,38
მშპ რეალური ზრდა, %	9,4	12,3	2,3	-3,8	6,3	7	6,8	8,2
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ახლანდელი ფასი), აშშ დოლარი	1,763	2,314	2,921	2,455	2,623	3,215	758,1	869,4

* საბოლოო დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2013 წელს.

განათლება

საქართველოს განათლების სისტემამ 2004 წლიდან მოყოლებული დიდი ცვლილებები განიცადა. მთავარი სიახლე დაკავშირებული იყო საერთო ეროვნული გამოცდების შემოღებასთან, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე კორუფციის დაძლევის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ინსტრუმენტად იქცა. ბოლონის პროცესის სტანდარტების ეტაპობრივმა დანერგვამ და სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემის შემოღებამ შესაძლებელი გახადა აკრედიტებული პროგრამების ევროპულ კურიკულუმთან შესაბამისობაში მოყვანა. სტუდენტებს მიეცათ შენსი, თავისი კრედიტები სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ ინსტიტუტებში გადაეტანათ და დივერსიფიცირებული უმაღლესი განათლება მიეღოთ. 2003-2008 წლებში ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შემოღების შედეგად აკრედიტებული ქართული უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 180-ზე მეტიდან 20-მდე დავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეგიონის საშუალო მონაცემის მხოლოდ ნახევარს ხარჯავს განათლებაზე (2011 წელს შიდა მთლიანი პროდუქტის 2,7%), დაწყებითი და საშუალო განათლების დონეების მოსწავლეების რაოდენობა რეგიონული მონაცემებისგან არ განსხვავდება. ძალიან მაღალია მოსწავლეების რაოდენობა დაწყებით კლასებში (92%), საკლასო ოთახებში სქესებს შორის გადანაწილება პროპორციულია.

ქართული განათლების სისტემა იბრძვის იმისთვის, რომ საერთაშორისო დონეზე გახდეს კონკურენტუნარიანი. თუმცა პრობლემები არა მარტო უმაღლეს, არამედ სასკოლო განათლების დონეზეც არსებობს. სკოლის მოსწავლეებში არსებული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რამდენიმე საერთაშორისო მსოფლიო მასშტაბის კვლევამ გამოავლინა, რომ მათ უჭირთ ინფორმაციის დამუშავება მეცნიერების, მათემატიკისა და წიგნიერების სფეროში.⁶

2010 წელს საქართველო ჩაერთო მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამაში (PISA), რომელსაც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ატარებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული თხუთმეტი წლის ახალგაზრდებს სთავაზობენ მონაწილეობას კვლევაში და ტესტების გავლას შემდეგ საკვანძო საგნებში: კითხვა, მათემატიკა და მეცნიერება.⁷

საქართველოს შედეგებში გამოჩნდა, რომ ქართველი მოსწავლეების კითხვის წიგნიერების საშუალო შედეგი ყველა მონაწილე ქვეყნის მონაცემთა საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო. მოსწავლეთა მხოლოდ 38%-მა აჩვენა ცხოვრებაში ეფექტური და პროდუქტიული მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო საბაზისო დონეზე მყოფი ან მასზე მაღლა მდგომი გაწაფულობა კითხვაში. მოსწავლეების უმეტესობამ კითხვაში გაწაფულობის საბაზისოზე უფრო დაბალი დონე გამოავლინა. ქართველ მოსწავლეებს სხვა ქვეყნებთან შედარებით ასევე საშუალო შედეგები ჰქონდათ მათემატიკური

⁵ წყარო: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng

⁶ კითხვის წიგნიერება განისაზღვრება, როგორც “ინდივიდის უნარი გაიგოს, გამოიყენოს, დაფიქრდეს და იმუშავოს დაწერილ ტექსტზე იმისთვის, რომ მიაღწიოს მიზნებს, განავითაროს ცოდნა და პოტენციალი და მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.” მათემატიკური წიგნიერება განისაზღვრება როგორც “ინდივიდის უნარი მოახდინოს იმ როლის იდენტიფიცირება და გაგება, რომელსაც მათემატიკა სამყაროში ასრულებს, შეძლოს კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და გამოიყენოს მათემატიკა იმგვარად, რომელიც ამ ინდივიდის ცხოვრებისთვის, მისი შემოქმედებითი და მოაზროვნე მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო.”

⁷ წყარო: https://mypisa.acer.edu.au/images/mypisadoc/acer_pisa2009%2B_international_2.pdf

წიგნიერების შკალაზე. მხოლოდ 31%-ი აღმოჩნდა მათემატიკაში იმდენად გაწაფული, რომ შემდგომი განვითარებისთვის მისი გამოყენება შეძლებოდა (შეადარეთ სხვა კვლევაში მონაწილე ქვეყნების 75%-ს).⁸

სახელმძღვანელოები

განათლების სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროდუქციის გამოცემაში. ის ადგენს ეროვნულ კურიკულუმსა და სასკოლო წიგნების სტანდარტებს. სკოლის წიგნების კომპლექტი საშუალოდ 40-60 ლარი ჯდება (დაახლ. 25-37 აშშ დოლარი, 19-27 ევრო). უნივერსიტეტის სახელმძღვანელოების კონტროლი განათლების სამინისტროს მხრიდან არ ხდება და მათ გამოცემას ძირითადად აკადემიური საგამომცემლო სახლები აწარმოებენ (ილიას უნივერსიტეტი, ლოგოს პრესი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გამომცემლობა). ზოგადად სამინისტრო წიგნების შეკვეთას განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის საშუალებით ასრულებს და შეთავაზებულთაგან ყოველი კლასის ან საგნისათვის დაახლოებით 3-4 წიგნს არჩევს. სწორედ ცენტრი განიხილავს, აფასებს და არჩევს ყველა შეთავაზებულ სახელმძღვანელოს. შერჩევა ანონიმური კომისიის მიერ ხდება. 2013 წლამდე სახელმწიფო უფასოდ ურიგებდა სასკოლო წიგნებს პირველკლასელებს. ყველა დანარჩენს სახელმძღვანელოები თავად უნდა ეყიდა, მაგრამ განათლების სამინისტროს ინიციატივით 2013 წლიდან საჯარო სკოლების ყველა საფეხურის ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს.

საგანმანათლებლო წიგნების ყველაზე დიდ გამომცემლებს შორის არიან “პალიტრა L”, “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, “დიოგენე”, “ინტელექტი” და “საქართველოს მაცნე”.

ლიცენზირება

ბოლო წლების განმავლობაში ბიზნესის დასაწყებად და საწარმოებლად საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. დღეს ისინი მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებისთვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სპეციფიკური აქტივობების წარსამართავადაა საჭირო. “ერთი ფანჯრის პრინციპის” შემოღებისა და კომპანიის რეგისტრირებისთვის საჭირო დღეების რაოდენობის შემცირების შედეგად “მსოფლიო ბანკის” ყოველწლიურ მიმოხილვაში Doing Business 2012 საქართველომ ზოგად რეიტინგში 16-ე ადგილი დაიკავა (7-ე ადგილი ბიზნესის დაწყებისა და 1-ი ადგილი ქონების დარეგისტრირებისთვის). ეს წინა წელთან შედარებით (17-ე ადგილი) გაუმჯობესება იყო. საქართველო 174 ქვეყანას შორის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა.⁹

ცვლილებებმა გავლენა მოახდინა სამუშაო კანონმდებლობაზეც და ურთიერთობა დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის გაცილებით უფრო მარტივი გახადა, მნიშვნელოვნად შემცირდა დაქირავებისა და სამსახურიდან დათხოვნის ხარჯები. შედეგად, “Heritage Foundation”-მა და სხვა ანალიტიკურმა ცენტრებმა საქართველოს შრომის კოდექსი მსოფლიოში არსებულთაგან ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურად მიიჩნიეს.

საავტორო უფლებები

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ინტელექტუალურ საკუთრებაზე. იმავე წელს საქართველო შეუერთდა ბერნის კონვენციას. კანონი, რომელშიც 1999, 2000, 2002, 2005 და 2007 წლებში რამდენიმე შესწორება შევიდა ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისია და მოიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა საავტორო უფლებების ხანგრძლივობა (70 წელი) და ხელახლა გამოცემის უფლება. საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა და გაითავისა ორგანიზაციის ის წესებიც, რომლებიც საავტორო უფლებების დაცვას შეეხება.

ISBN, ISSN, ISMN

ISBN-ის სააგენტო 1997 წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლობით შეიქმნა. მისი ოფისი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მდებარეობს, მონაცემთა ბაზა კი შეიცავს ინფორმაციას ყველა არსებული და “ისტორიული” გამომცემლობის შესახებ, რომელიც აღარ აგრძელებს საქმიანობას, მაგრამ რომლის გამოცემები ჯერ კიდევ არის დაცული ბიბლიოთეკის კატალოგებში. მიუხედავად იმისა, რომ გამოცემების დიდ უმრავლესობას ISBN-ის ნომერი მინიჭებული აქვს, მაინც არსებობს გამომცემლების მცირე ნაწილი, რომელიც მის მიღებასა და გამოცემისთვის მინიჭებას უბრალოდ უგულებელყოფს.

⁸ წყარო: https://mypisa.acer.edu.au/images/mypisadoc/acer_pisa2009%2B_international_2.pdf

⁹ წყარო: <http://www.doingbusiness.org/data/exploreconomies/georgia>

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ასევე პასუხისმგებელია ISBN-სა (სერიული ნომრების საერთაშორისო სტანდარტი) და ISMN-ის (მუსიკალური ნომრების საერთაშორისო სტანდარტი) გაცემაზე. ისინი საქართველოში 2003 წლიდან მოქმედებს და მათ მინიჭებას ასევე პარლამენტის ბიბლიოთეკა არეგულირებს.

წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემა¹⁰


საქართველოში 68 კომპანია და კერძო პირია დარეგისტრირებული წიგნის გამომცემლებად. მათ შორის 45 წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის სრული წევრია. კომპანიების მცირე ნაწილი (ისევე როგორც ასოციაციის ზოგი წევრი) ბოლო წლების განმავლობაში ძალიან დაბალ ან თითქმის არანაირ აქტივობას არ აჩვენებს. საქართველოს სტატისტიკის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად გაზეთების, ჟურნალებისა და პერიოდიკის გამომცემლებად საქართველოში 121 კომპანიაა დარეგისტრირებული.

წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემა							
	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ცალი, მილიონი	0,3	2,4	2,8	1,9	2,1	2,2	2,8
ჟურნალებისა და სხვა პერიოდიკის წლიური ცირკულაცია, მილიონი ცალი	1,1	3,4	16,2	19,2	23,2	25,9	27,4
გაზეთების რაოდენობა, ერთეული	88	209	181	221	199	225	284
ცალკეული ცირკულაცია, მილიონი ცალი	0,4	0,8	0,5	0,7	0,5	0,8	0,1
წლიური ცირკულაცია, მილიონი ცალი	17,9	35,9	33,3	33,2	35,1	46,7	51,5

წყარო: ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების გამოცემის მოცულობა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, რაც ასევე აისახა გამომცემლობების ფინანსური ბრუნვების ზრდაზეც. აქვე უნდა ითქვას, რომ 2007-2012 წლებში წიგნის საშუალო ფასმა ოდნავ დაიწია.


წიგნების გამოცემა საქართველოში, 2007-2011
(რაოდენობა ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, ათასი)



¹⁰ წყარო: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=209&lang=eng


ბრუნვა გამომცემლობებში, საქართველო 2007-2011

(ეფუძნება დეკლარირებულ მონაცემებს, აშშ დოლარი, ათასი)



წინასწარი მონაცემები: I.IV კვარტლების ჯამი; გაცვლ. კურსი ლარი/დოლარი 1.65

წიგნების საშუალო ფასი საქართველოში, 2007-2012 (აშშ დოლარი)



შენიშვნა: ინფორმაცია ფასების შესახებ შეგროვდა საქართველოს დიდ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, თელავი და გორი 2007 წლის იანვარიდან 2012 წლის აგვისტომდე პერიოდში.

ელექტრონული კომერცია და ელექტრონული წიგნები

კვლევის “კავკასიის ბარომეტრი” (Caucasus Barometer) მიხედვით, რომელსაც კავკასიის სამივე ქვეყანაში კავკასიის კვლევების რესურსების ცენტრი (Caucasus Research Resource Centre - CRRC) ყოველწლიურად ატარებს ჩანს, რომ ინტერნეტსა და მის მომსახურებაზე წვდომა საქართველოში პერსონალური კომპიუტერების მფლობელთა შორის თანდათანობით მატულობს. თუმცა იმ ოჯახების რიცხვი, სადაც პერსონალური კომპიუტერები აქვთ ჯერ კიდევ მცირე რჩება რაც მწიფს ხდის წიგნებზე კონცენტრირებული ელექტრონული პროდუქციისა და კომერციისთვის ამ ბაზარზე შეღწევას.¹¹ მიუხედავად ამისა, მომხმარებლის მხრიდან ონლაინ შესყიდვებთან დაკავშირებული ქვეყნის ბოლოდროინდელი განვითარება შესაძლოა, კარგი შესაძლებლობა იყოს წიგნის მკითხველთა წრის ონლაინ გაყიდვების საშუალებით გაფართოების სტრატეგიის დაგეგმვის ან ტექსტების ელექტრონულ საკითხავ მოწყობილობაზე ჩამოტვირთვისთვის (ჯერ კიდევ წარმოადგენს საჭიროებას ქართული ტექსტების უნვერსალურად გამოყენებადი ფორმატის შექმნა).

წელი	აქვს წვდომა ინტერნეტზე
2011	90%
2010	85%
2009	87%
2008	74%

შენიშვნა: კითხვა დაუსვეს მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ პერსონალური კომპიუტერი.

¹¹ წყარო: <http://crrc.ge/oda/> Caucasus Barometer Georgia 2008, 2009, 2010, 2011.

წელი	პერსონალური კომპიუტერი ოჯახში
2011	37%
2010	23%
2009	18%
2008	13%

საქართველოში მოქმედ რამდენიმე წიგნის ონლაინ მაღაზიას შორის შეიძლება დასახელდეს ibooks.ge, lit.ge და saba.com.ge.

საბიბლიოთეკო სისტემა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკების ქსელი შედგება 590 ბიბლიოთეკისგან, სადაც 2,666 ბიბლიოთეკარია დასაქმებული. სახელმწიფოს მთავარი ბიბლიოთეკაა პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს და 1997 წელს მიღებული ეროვნული ბიბლიოთეკის კანონის შესაბამისად მოქმედებს. ბიბლიოთეკის დირექტორს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს ქვეყნის წიგნების მთავარ საცავსა და ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საინფორმაციო და მეთოდოლოგიურ ცენტრს.

ეროვნულ ბიბლიოთეკას ჰყავს 476 თანამშრომელი, რომელიც ყოველდღიურად 1000-ზე მეტ მკითხველს ემსახურება. რეგისტრირებულ მკითხველთა რიცხვი 45,450-ს აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციები შეიცავს:

- წიგნები: 3,641,456 ცალი
- ჟურნალები: 233,383 წლიური კომპლექტი
- გაზეთები: 55,124 წლიური კომპლექტი
- ბეჭდური მუსიკალური ნოტები: 96,610 ცალი
- გრამოფონის ჩანაწერები: 23,992 ცალი
- CD / DVD: 4,740 ცალი.

გარდა იმისა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა არის IFLA, CENL-ისა და ევროპული ბიბლიოთეკების ქსელის წევრი, ის ასევე წარმოადგენს შვეიცარიის ეროვნული ბიბლიოთეკის, ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკის, რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის, რუსეთის სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკის, უკრაინის ვერნადსკის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, უკრაინის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ყაზახეთის ეროვნული აკადემიური ბიბლიოთეკის, ყაზახეთის ეროვნული ბიბლიოთეკის, Biblioteka Alexandrina-ს პარტნიორს.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით წიგნების გამოცემის შედეგები 2009-2011 წლებში შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2009	2010	2011
გამოქვეყნებული გამოცემები	2,757	3,322	3,420
საშუალო ტირაჟი	750	700	800

ბელეტრისტიკა, წლიური საშუალო			
	2009	2010	2011
გამოქვეყნებული გამოცემები	501	1,064	1,126
საშუალო ტირაჟი	750	700	800

თარგმანი ქართულად			
	2008	2009	2010
ინგლისური	93	111	102
გერმანული	34	39	42
ფრანგული	36	28	50
რუსული	26	26	44
სხვა	27	19	28
სულ	216	223	266

	2010	2011	2012
გამოქვეყნებული ელექტრონული წიგნების რაოდენობა	23	10	3

ამ ინფორმაციის წყაროა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN, ISSN, ISMN-ის განყოფილება. ეს ნიშნავს, რომ აქ მითითებულია მხოლოდ ის წიგნები (მათ შორის ელექტრონულიც), რომლებსაც გამომცემლებმა მიანიჭეს ISBN-ის ნომრები.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ გამომცემლები, რომლებიც წიგნის ელექტრონულ ვერსიებს გადასცემენ მესამე პირებს. იმის გამო, რომ მესამე პირები ელექტრონული წიგნებისთვის არ ითხოვენ ISBN-ის მინიჭებას, ძნელია ბაზარზე არსებული ელექტრონული წიგნების ზუსტი რაოდენობის დათვლა.¹²

გარდა ტრადიციული კოლექციებისა საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შექმნა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც რამდენიმე პროექტს მოიცავს:

1. იუნესკოს Greenstone Project – ქართული ლიტერატურის ელექტრონული კოლექცია, რომელშიც შესულია ქართული კლასიკური ლიტერატურის ცნობილი ნიმუშები და ავტორების მოკლე ბიოგრაფიები. პროექტი ასევე შეიცავს სრულ ტექსტებს სამოქალაქო განათლების შესახებ.
2. დისერტაციების ელექტრონული კოლექცია: წიგნებისა და დისერტაციების სრული ტექსტები ბეჭდური პუბლიკაციების PDF ფორმატში არსებული დასკანერებული ვერსიების ჩათვლით.
3. ბეჭდური პუბლიკაციების ელექტრონული არქივი: ელექტრონულ ფორმატში გამოცემული ტექსტები: ელექტრონული წიგნები და სტატიები ჟურნალებიდან და გაზეთებიდან.
4. ელექტრონული ბიბლიოთეკა “ივერიელი”: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ჟურნალების, გაზეთების, ფოტოებისა და იშვიათი გამოცემების ელექტრონული ასლები.
5. ქართველი ავტორების ცნობარი: თანამედროვე ქართველი ავტორების ბიოგრაფიები და მათი პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიული აღწერები.
6. ელექტრონული ონლაინ ლექსიკონები: ხელოვნების ენციკლოპედია, უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, ადამიანთა უფლებები, სამოქალაქო განათლება, კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინოლოგია, საქართველოს ისტორიული ძეგლების ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი.

ყოველგვარი ელექტრონული მომსახურება უფასოა და მომხმარებელს მისით სარგებლობა ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდის www.nplg.gov.ge საშუალებით შეუძლია.

წიგნის გამოცემის სახელმწიფო პროგრამები

არ არსებობს გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა ან სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნებოდა მკითხველთა ბაზის, წიგნის კლუბების განვითარების, გამომცემლობების სუბსიდირებისკენ. გამომცემლების ფინანსური მხარდაჭერის ძირითად წყაროს (განსაკუთრებით თარგმნილი წიგნების შემთხვევაში) სხვადასხვა საერთაშორისო ფონდი ან კულტურული ინსტიტუტი (გოეთეს ინსტიტუტი, ბრტანეთის საბჭო და ა. შ.) წარმოადგენს.

¹² წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

კვლევის მეთოდოლოგია, მასშტაბი და შეზღუდვები

თამარ ჯანაშია და გიორგი საბანაძე

პროექტის Book Platform ფარგლებში საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ და ადგილობრივმა კონსულტანტებმა გიორგი საბანაძემ და თამარ ჯანაშიამ შეიმუშავეს საქართველოს წიგნის ბაზარზე მოქმედი გამომცემლობების, გამავრცელებლებისა და მაღაზიების კვლევის გეგმა.

ორგანიზაციის Next Page Foundation-ის წარმომადგენელთან ქ-ნ იანა გენოვასთან და საერთაშორისო ექსპერტ ბ-ნ რუდიგერ ვიშენბარტთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, ჩატარებულიყო კვლევა ორი მიმართულებით: 1. სხვადასხვა ადგილობრივ ინსტიტუციაში არსებული მონაცემების შეგროვება (მაგ. ეროვნული ბიბლიოთეკა, სტატისტიკის დეპარტამენტი, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და ა. შ.) და 2. პირადი ინტერვიუების ორი სხვადასხვა სერია წიგნის გამომცემლებთან და გამავრცელებლებთან/წიგნის მაღაზიებთან.

წიგნის გამომცემელთა კვლევის კითხვარი შემუშავდა პროექტის ზოგადი მიმართულებიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე მომხდარიყო კონკრეტული ინფორმაციის მოგროვება წიგნის ბაზრის ზოგადი შეფასების, არსებული პრობლემების დადგენის, წიგნის ბაზრის შემდგომი განვითარებისა და მკითხველთა ბაზის გაფართოების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისათვის. კითხვარის შედგენის პროცესში ადგილობრივმა კონსულტანტებმა გიორგი საბანაძემ და თამარ ჯანაშიამ კონსულტაცია გაიარეს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წარმომადგენლებთან ქ-ნ ქეთევან ჯაყელთან (აღმასრულებელი დირექტორი), ქ-ნ თინა მამულაშვილთან (ასოციაციის თავმჯდომარე) და ბ-ნ ლუდოვიკ ჟიროსთან (ასოციაციის საბჭოს წევრი). მათი კომენტარების საფუძველზე მოხდა კითხვარის გადახედვა და მასში ისეთი კონკრეტული კითხვების დამატება, რომლებმაც არსებული სიტუაციის შესახებ უფრო ფართო სურათის შექმნას შეუწყვეს ხელი.

წიგნის გამომცემლობების კვლევა უპირველეს ყოვლისა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის სრულ და ასოცირებულ წევრებს შორის ჩატარდა, თუმცა მასში ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლების, ექსპერტებისა და რამდენიმე საგამომცემლო სახლის რეკომენდაციით ასევე იმ კომპანიებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც ასოციაციის წევრები არ არიან. წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ და ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ადგილობრივ კონსულტანტებს მოაწოდეს ინფორმაცია აქტიურად მომუშავე კომპანიების შესახებ, რის შემდეგაც მოხდა მათთან დაკავშირება (ასოციაციების წევრები, კომპანიები და ორგანიზაციები, რომლებმაც ISBN-ი ეროვნული ბიბლიოთეკისგან მიიღეს და ა. შ.). სიისა და ადგილობრივ ბაზარზე კონკრეტული გამომცემლობების საქმიანობის შეფასების შემდეგ შედგა გამოკითხვის პოტენციურ რესპონდენტთა საბოლოო სია.

კონსულტანტების მიზანი იყო კვლევაში ჩაერთო და ინტერვიუები აელო შეძლებისდაგვარად მეტი სხვადასხვა ზომისა და საგამომცემლო პროფილის კომპანიის წარმომადგენლისგან. გეგმის თანახმად, კონსულტანტები დაუკავშირდნენ გამომცემლობებს პირისპირ ინტერვიუებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 34-მა გამომცემლობამ. მათ შორის თითქმის ყველა ბაზრის ლიდერმა და რამდენიმე მცირე ზომის კომპანიამაც. სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა ყველა კომპანიასთან დაკავშირება: ზოგიერთმა უარი განაცხადა ინტერვიუზე, ზოგმა კი თქვა, რომ არაფერი გამოუქვეყნებია ბოლო წლების განმავლობაში და სავარაუდოდ მომავალი 1-2 წლის განმავლობაშიც არაფერს გამოაქვეყნებდა.

წიგნის გამომცემლობებთან ჩატარებული ინტერვიუების პარალელურად მომზადდა მეორე კითხვარიც დისტრიბუტორებისა და წიგნის მაღაზიებისთვის. კითხვარის შემუშავების პროცესში მკვლევარებმა კონსულტაცია გაიარეს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის თანამშრომლებთან (CRRC, <http://www.crcc.ge>). ცენტრი წარმოადგენს რესურსების, კვლევისა და ტრენინგების ცენტრების ქსელს, რომელიც 2003 წელს დაარსდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დედაქალაქებში და მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაში სოციალური კვლევების მეცნიერებებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის გაძლიერებას. ცენტრს აქვს ძალიან კარგი რეპუტაცია და გამოირჩევა თავისი მაღალი ხარისხის კვლევებითა და თანამშრომლების პროფესიონალიზმით. მათგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა კითხვარის ტექსტის ფორმულირებისა და კითხვების თანმიმდევრობის დახვეწა იმისთვის, რომ ისინი შეძლებისდაგვარად პირდაპირი გამხდარიყო და მომხდარიყო მათი მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამორიცხვა.

კვლევაში მონაწილეობა უპირველეს ყოვლისა მიიღეს იმ კომპანიებმა, რომელთა სია საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ მოგვაწოდა. მოგვიანებით მათ დაემატა სხვა კომპანიებიც, რათა მომხდარიყო რაც შეიძლება სრული სურათის მიღება იმ სამუშაოს მასშტაბების შესახებ, რომელსაც ამ სფეროში მომუშავე ფირმები ეწევიან. კონსულტანტები დაუკავშირდნენ ყველა დისტრიბუტორსა და წიგნის მაღაზიას, რომელიც შეიძლება კვლევის პოტენციური მონაწილე გამხდარიყო და მათ პირისპირ ინტერვიუებში მონაწილეობის მიღების თხოვნით მიმართეს.

კვლევაში მონაწილეობა სამმა სადიტრიბუციო კომპანიამ და თორმეტმა წიგნის მაღაზიამ (სულ 15 კომპანია) მიიღო. ყველა ეს კომპანია საქართველოს დედაქალაქ თბილისში მდებარეობს. ზოგიერთი მათგანი ქვეყნის მასშტაბით, ზოგი კი მხოლოდ ადგილობრივ დონეზე მუშაობს. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ კომპანიის მმართველები. მკვლევართაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (უარი, დროის უქონლობა, გეოგრაფიული არეალი და ა. შ.) შეუძლებელი აღმოჩნდა ინტერვიუების ყველა მოწვეულ კომპანიასთან ჩატარება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილეობაზე უარების რაოდენობა წიგნის გამომცემელ კომპანიებთან შედარებით საკმაოდ დაბალი იყო. კვლევაში მონაწილეობაზე უარი მხოლოდ სამმა კომპანიამ განაცხადა. ზოგიერთ მათგანთან უბრალოდ ვერ მოხერხდა დაკავშირება.

წიგნის გამომცემლები: კვლევის შედეგები

თამარ ჯანაშია და გიორგი საბანაძე

გამოწვევები:

საქართველოში მოქმედი წიგნის გამომცემლობების კვლევის შედეგად რამდენიმე ძირითადი საკითხი გამოიკვეთა:

- კომპანიების მხრიდან ზოგადი დამოკიდებულება კვლევების მიმართ უარყოფითი, კერძოდ კი ექვნარევი. ზოგიერთი კომპანიის ხელმძღვანელი უარს ამბობს კვლევაში მონაწილეობაზე და თავს იკავებს მკვლევარებისთვის იმ დასახელებებისა და წიგნების რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემების მიწოდებაზე, რომელთაც ყოველწლიურად გამოსცემს და ყიდის. მონაცემების მოწოდების შეფერხების გასამართლებლად ისინი სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ. მათ შორისაა:
 - ა. პროგრამული უზრუნველყოფის ან რეგისტრაციის ისეთი სისტემის არქონა, რომელიც მათ მისცემდა მონაცემთა დამუშავებისა და ნებისმიერ დროს ზუსტი ინფორმაციის მოწოდების საშუალებას;
 - ბ. უნდობლობა ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის გამო;
 - გ. ნდობის ნაკლებობა მკვლევარის მიმართ და შიში, რომ ინფორმაცია საგადასახადო ინსტიტუტების ხელში მოხვდება.
- ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფისა და ისეთი მეტ-ნაკლებად ფუნქციონალური სისტემის შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდიდა გამოცემების ზუსტ აღრიცხვას, ერთმანეთისგან კონკრეტული პროდუქციის (მაგ. წიგნების სხვადასხვა კატეგორია და ა. შ.) გამიჯვნას ან კატეგორიებისა და დასახელებების მიხედვით გაყიდული წიგნების რაოდენობის ზუსტი ციფრის დადგენას, ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს. უმეტეს შემთხვევაში წიგნის მალაზიები და ბითუმად მოვაჭრეები თანხას გამომცემლობებს მხოლოდ წიგნის გაყიდვის შემდეგ ურიცხავენ. მალაზიებიდან მთლიანი თანხის გადმორიცხვის შემდეგ გამომცემლობები იშვიათად შეისწავლიან დოკუმენტში მოცემულ კატეგორიებსა და დასახელებებს. ძირითადად არ ხდება ამგვარი ინფორმაციის გამოყენება ანალიზისა და გრძელვადიანი სტრატეგიის დასაგეგმად.
- იმ შემთხვევებშიც კი, როცა გამომცემლობები კომპიუტერულ პროგრამას იყენებენ (გამომცემლობები ძირითადად თავისივე პრინციპის მიხედვით შექმნილ და საბოლოოდ გაერთიანებულ ექსელის დოკუმენტებში მუშაობენ), ინფორმაცია იმდენად მოუწესრიგებელია, რომ ძალიან რთულია დროის გონივრულ ჩარჩოებში მისი გამოყენება და მასზე დაყრდნობით რაიმე ანალიზის გაკეთება. მაგალითად, ერთ-ერთ გამომცემლობას სამი დღე დასჭირდა იმისთვის, რომ შეეჯამებინა და მოეწოდებინა მონაცემები წლიურად გამოცემული წიგნების რაოდენობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემელს ეს ინფორმაცია და მისი გაზიარების სურვილიც ჰქონდა, ის იმდენად იყო გაფანტული სხვადასხვა დოკუმენტსა (ყოველთვიური ჩანაწერი) და ფორმატში, რომ საბოლოოდ რიცხვების ხელით დათვლა გახდა საჭირო.

იმის გამო, რომ ზოგიერთ კომპანიას არ სურდა გამოცემული დასახელებებისა და განსაკუთრებით კი გაყიდული წიგნების რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემების მოწოდება, ციფრების უმეტესობა დამრგვალებულია და არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც 100%-ით სანდო ინფორმაცია. ზოგიერთ მონაცემებში უნდა ვივარაუდოთ გარკვეული ცდომილების ხარისხი.


ზოგადი დასკვნები (გამომცემლობების ტიპი, გამოცემული წიგნების რაოდენობა, პრიორიტეტები)

შენიშვნა: თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოყვანილი შედეგები ეფუძნება მხოლოდ კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და შესაბამისად ნაწილობრივ ასახავს საქართველოში საგამომცემლო სფეროში არსებულ მდგომარეობას.

იმ პასუხებზე დაყრდნობით, რომლებიც 34 კომპანიის გამოკითხვის შედეგად შეგროვდა გაირკვა, რომ გამომცემლობებში სრულ და ნაწილობრივ შტატზე მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა (დამოუკიდებელი და მოკლევადიანი კონტრაქტით მომუშავე პერსონალი გათვალისწინებული არ ყოფილა) 1-დან 50-მდე მერყეობს. 34-დან არც ერთი კომპანიას არ ჰყავს 50-ზე მეტი თანამშრომელი. ფირმების უმეტესობაში 5-ზე ნაკლები ადამიანია დასაქმებული. დაახლოებით ამავე რაოდენობის კომპანიებში 6-10 ადამიანი მუშაობს.

შეკითხვას 2012 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ 34-დან 29 კომპანიამ უპასუხა. ფირმების ნახევარზე მეტმა (52%) მიუთითა, რომ მათი შემოსავალი 50,000 ლარზე ნაკლებს შეადგენდა (დაახლ. 30,200 აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი). კომპანიების 21%-ის შემოსავალი 50,000-200,000 ლარს შორის მოექცა (დაახლ. 30,200-120,800 აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი).

ქართული გამომცემლობების შემოსავალი 2012 წელს



კომპანიის მფლობელების 88%-მა თქვა, რომ მათი ფირმები კერძო მფლობელობაშია და მათში მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალია დაბანდებული. გამოკითხულთაგან 4 კომპანიის მფლობელი სახელმწიფოა (12%). არც ერთ კომპანიაში არ არის არც უცხოური კაპიტალი, არც შერეული ტიპის მფლობელობა (სახელმწიფო/კერძო).

ახალი გამოცემების (დასახელებების) რაოდენობა 2008-2012 წლებში ზრდის ტენდენციას აჩვენებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები 100%-ით სანდო არ არის რადგან ზოგიერთმა კომპანიამ დაახლოებითი რიცხვები მოგვაწოდა. ცდომილება შეიძლება 1-2%-ს შეადგენდეს.

წელი	დასახელებების რაოდენობა	გაზრდილი რაოდენობა	ზრდა %
2012	1332	138	12%
2011	1194	245	26%
2010	949	80	9%
2009	869	155	22%
2008	714		

ყოველწლიური ხელახალი გამოცემების რაოდენობა შემდეგ ცხრილშია მოცემული:


წელი	ხელახალი გამოცემების რაოდენობა	გაზრდილი რაოდენობა	ზრდა/კლება %
2012	482	95	25%
2011	387	48	14%
2010	339	171	102%
2009	168	-63	-27%
2008	231		

ამ შემთხვევაშიც მონაცემები 100%-ით ზუსტი არ არის, რადგან ზოგიერთმა კომპანიამ დაახლოებითი რიცხვები მოგვაწოდა. სავარაუდოდ ცდომილებამ 1-2% უნდა შეადგინოს.

გამოკითხვის მომენტში (2012 წლის ბოლო) გამოსაცემად დამუშავების პროცესში მყოფი წიგნების რაოდენობად 1,547 დასახელება იქნა მითითებული. თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ „გამოსაცემად დამუშავების პროცესში მყოფი წიგნები“ მოიცავს წიგნების იმ კატეგორიას, რომელიც უახლოეს მომავალში გამოსაცემად მზადდება, მაგრამ ბაზარზე ჯერ არ არის გატანილი.

ქართული გამომცემლობების მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში გაყიდული წიგნების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 2008-2009 წლების ყველაზე დაბალი გაყიდვები შესაძლოა 2008 წლის აგვისტოს ომისა და მისი შემდგომი პერიოდის შედეგი იყოს.


2008-2012 წლებში ქართველი გამომცემლების მიერ გაყიდული წიგნების რაოდენობა



შეკითხვას 34-დან მხოლოდ 22-მა კომპანიამ უპასუხა. მათი რიცხვი 2008 და 2009 წლების მონაცემების მოწოდების შემთხვევაში 13-მდე და 15-მდე დავიდა. ამ კომპანიებისგან პასუხის არქონის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ ისინი ა. ამ წლებში არ ფუნქციონირებდნენ და მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა ან ბ. მათ არ ჰქონდათ შესაბამისი პროგრამა და ამიტომ არ შეუძლიათ იმ პერიოდის მონაცემების სრულფასოვანი აღრიცხვის გაკეთება.


ქართული გამომცემლობების პროდუქციის გავრცელების არხები ბითუმად მოვაჭრეებს, წიგნის მაღაზიებს, სხვა მაღაზიებს (მაგ. სუპერმარკეტი და ა. შ.), პირდაპირ და ონლაინ გაყიდვებს შორისაა დანაწილებული. წიგნის მაღაზიების წილი ამ შემთხვევაში ყველაზე დიდია. მას მოსდევენ ბითუმად მოვაჭრეები. ბაზრის მცირე ნაწილი უკავიათ სხვა მაღაზიებსა და პირდაპირ გაყიდვებს. საქართველოში ძალან სუსტადაა განვითარებული წიგნების ონლაინ გაყიდვები, რაც მთლიანი გაყიდვების მხოლოდ 1%-ს შეადგენს. გამომცემლებმა იმ ონლაინ გაყიდვის საიტებად, რომლებთანაც ისინი თანამშრომლობენ bookland.ge, lit.ge და market.ge დაასახელეს.

ქართული გამომცემლობების პროდუქციის გავრცელების არხები



ქართველი გამომცემლების უმთავრეს პრიორიტეტებს შორისაა წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისთვის (28%) და მხატვრული ლიტერატურა (26%). ასევე დიდი ყურადღება ექცევა სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომლებიც წელიწადში ერთხელ იბეჭდება და რამდენიმე გამომცემლობისთვის მთავარ და ერთადერთ პროდუქტს წარმოადგენს. ამ გამომცემლობათაგან ზოგიერთი თავად სახელმძღვანელოების ავტორების მიერაა შექმნილი. ისინი აკონტროლობენ და ადმინისტრირებენ უწყვეტ მთელ წარმოების ჯაჭვს დაწყებული კონცეფციისა და ტექსტების წერიდან და დასრულებული დიზაინით, რედაქტირებითა და ბეჭდვით. სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემული რაოდენობა წელიწადში რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს. ისინი ძირითადად წიგნის ბაზრობების ან სკოლებში ვიზიტების დროს ბითუმად მოვაჭრეების მიერ იყიდება.

ქართული გამოცემლობების პრიორიტეტული კატეგორიები



გამოცემული დასახელებების რაოდენობა ძირითადი კატეგორიების მიხედვით, კერძოდ კი “წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისათვის” ბოლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა (161%). ამ კატეგორიაში არსებული დასახელებების რაოდენობის ზრდას მოჰყვა მხატვრული ლიტერატურის გამოცემების (60%), არაბელეტრისტიკის (58%), სასკოლო წიგნების (36%), სამეცნიერო (66%) და სხვა კატეგორიის წიგნების (5%) დასახელებების რაოდენობის ზრდაც. თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ ცხრილი აჩვენებს მხოლოდ ზოგად ტენდენციას, რადგან ამ შეკითხვას 34-დან მხოლოდ 27-მა (2012 წლის მონაცემები) და 20-მა (2011 წლის მონაცემები) გამოცემლობამ უპასუხა.


კატეგორია	მხატვრ. ლიტ.	არამხატვრ. ლიტ.	წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისთვის	სასკოლო სახელმძ.	სამეცნიერო წიგნები	სხვა
2011	230	19	178	207	119	93
2012	367	30	465	281	198	98
ცვლილება	60%	58%	161%	36%	66%	5%

კვლევის შედეგების თანახმად, მიუხედავად გამოცემული დასახელებების რაოდენობის ზრდისა, გამოცემული წიგნების რაოდენობა რამდენიმე კატეგორიაში შემცირდა (მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო წიგნები, სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები). სამაგიეროდ ის გაიზარდა არაბელეტრისტიკისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შემთხვევაში. თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ 2012 წლის მონაცემები 34-დან 21-მა, 2011 წლის მონაცემები კი მხოლოდ 15-მა რესპონდენტმა მოგვარდა. ერთი გარდა ყველა შემთხვევაში რიცხვები დამრგვალებული იყო და შესაძლოა, ოდნავ განსხვავდებოდეს გამოცემული წიგნების რაოდენობის რეალური რიცხვისგან. კომპანიების უმეტესობა თავს იკავებს ზუსტი ციფრების მოწოდებისგან იმის გამო, რომ ა. არ ენდობა გამოკითხვას, ბ. ეშინია, რომ მოწოდებული ინფორმაცია გადაეცემა საგადასახადო ინსტიტუტებს, გ. აქვს გაუმართავი სარეგისტრაციო სისტემა და არ აქვს დახვეწილი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა მონაცემთა დროულ და მარტივ გენერირებას. ინტერვიუს დროს ზოგიერთი კომპანიის წარმომადგენელი მონაცემების კომპიუტერიდან ამოკრეფას მხოლოდ მას შემდეგ იწყებდა, რაც მას მკვლევარი ზუსტი ციფრების გადამოწმებას სთხოვდა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა გადამოწმების შემდეგაც კი გამოკითხულები თავს არიდებდნენ ზუსტი ინფორმაციის მოწოდებას. ხანდახან ეს ხდებოდა მაშინაც, როცა მათ გამოთვლების სიზუსტის უზრუნველსაყოფად რამდენიმე დღე ეძლეოდათ. გამოკითხულები უპირატესობას ანიჭებდნენ რიცხვების დამრგვალებას, რაც შესაძლოა სრულად არ ასახავდეს რეალობას. ამავე დროს უნდა გაითვალისწინებულ იქნას ის ფაქტიც, რომ არსებობს ახალი კომპანიებიც რომლებსაც 2011 წელს არაფერი არ გამოუციათ.

კატეგორია	მხატვრ. ლიტ.	არამხატვრ. ლიტ.	წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისთვის	სასკოლო სახელმძ.	სამეცნიერო წიგნები	სხვა
2011	298,427	18,506	304,335	1,005,006	125,676	38,050
2012	216,581	35,368	163,754	1,206,775	84,800	31,141
ცვლილება	-27%	91%	-46%	20%	-33%	-18%

კითხვა 10 ლარად (დაახლ. 6,15 აშშ დოლარი) გასაყიდი წიგნის ფასში შემავალი კომპონენტების (საავტორო ხარჯი, ბეჭდვა, გამოსაცემად მომზადება, რედაქტირება და ა. შ.) პროცენტული დაყოფის შესახებ საკმაოდ რთული აღმოჩნდა გამომცემლობების უმეტესობისთვის. მათთვის პრობლემას წარმოადგენდა ზოგადი ტენდენციისა და საშუალო მაჩვენებლების განსაზღვრა. გამომცემლობების წარმომადგენლების აზრით, წილობრივი გადანაწილება შესაძლოა ძალიან განსხვავდებოდეს თარგმნილი წიგნების (თარგმნის ხარჯები), საავტორო ჰონორარის (მაგ. სასკოლო სახელმძღვანელოების უმეტესობას თავად ავტორები გამოსცემენ და ამავდროულად ისინივე არიან რედაქტორებიც, გამომცემლებიც და დისტრიბუტორებიც) და ა. შ. შემთხვევაში. კითხვას 34-დან მხოლოდ 17-მა რესპონდენტმა უპასუხა.

წარმოების ხარჯების დაყოფა წიგნისთვის, რომელიც 10 ლარად იყიდება (დაახლ. 6.15 აშშ დოლარი)



32 რესპონდენტიდან 34,4%-ს კომპანიაში საკუთარი სადისტრიბუციო განყოფილება აქვს. გამოკითხული ფირმების 65,6%-ში მსგავსი განყოფილება არ არსებობს.

თარგმანები

33 კომპანიის 75,8% თარგმნილ წიგნებსაც გამოსცემს, 24,2% კი მხოლოდ ქართულ ენაზე დაწერილ წიგნებს ბეჭდავს.

თარგმნილი დასახელებების წლების მიხედვით გადანაწილების შესახებ კითხვაზე პასუხების რაოდენობა 17-სა 27-ს შორის მერყეობდა (2008: 17, 2009: 18, 2010: 19, 2011: 20 და 2012: 27). შესაძლოა, ეს იმის შედეგად იყოს, რომ ა. ზოგიერთი კომპანია ახალი დაარსებულია და მუშაობა მხოლოდ 2008 წლის შემდეგ დაიწყო ან ბ. კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს მათი წინა წლების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.

თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე წლის წინ კულტურის სამინისტრომ შექმნა ცალკე განყოფილება, რომელიც ქართული წიგნების უცხო ენებზე თარგმნასა და ქართული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციაზე პასუხისმგებელი. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას არ აქვს უცხოური წიგნების ქართულად თარგმნის სტრატეგია. ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა რომელიმე ორგანიზაციის ან ფონდის კონკრეტული პროექტის/პროგრამის ფარგლებში გამოიცემა.

წელი	ქართულად თარგმნილი გამოცემული დასახელებების რაოდენობა
2012	591
2011	327
2010	237
2009	177
2008	139

ბოლო ორი წლის განმავლობაში თარგმნილი წიგნების რიცხვის კატეგორიების მიხედვით გადანაწილება ასე გამოიყურება (კითხვას 34-დან 19 კომპანიამ გასცა პასუხი):

კატეგორია	მბატვრ. ლიტ.	არამბატვრ. ლიტ.	წიგნები ზაგმევისა და მოზარდებისთვის	სასკოლო სახელმძ.	სამეცნიერო წიგნები	სხვა
2011	12,748	500	80,481		600	2,000
2012	12,202	3,093	92,403	65,905	600	
ცვლილება	-4%	-99%	15%			-100%

კვლევის თანახმად გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად (ორჯერ მეტჯერ) წიგნები ინგლისურიდან ქართულად ითარგმნება. 2011 წელს ცამეტმა კომპანიამ გადათარგმნა წიგნები ინგლისურიდან ქართულად, 2012 წელს – თექვსმეტმა. პოპულარობით ინგლისურს მოსდევს რუსული, გერმანული, ფრანგული თარგმანები (2011: ამ სამი ენიდან წიგნები ექვსმა კომპანიამ თარგმნა; 2012 წელს ფრანგულიდან ცხრა კომპანიამ თარგმნა, გერმანულიდან რვა, რუსულიდან კი შვიდმა). 2011 წელს ორმა, 2012 წელს კი სამმა კომპანიამ გამოაქვეყნა იტალიურ-ქართული თარგმანები. ესპანური წიგნი 2011 წელს ერთმა, 2012 წელს კი ხუთმა კომპანიამ შეარჩია სათარგმნელად. სხვა ენები, რომლებიდანაც 2011-2012 წლებში ქართულად წიგნები ითარგმნა არიან ძველი და ახალი ბერძნული, სერბული, სომხური, სპარსული, კავკასიური ენები, ბასკური, ნორვეგიული, თურქული, შვედური, არაბული, ფინური, ჩეხური, პოლონური და ებრაული.

თარგმნილი დასახელებების რაოდენობები ენების მიხედვით. კატეგორია “სხვა” აერთიანებს ძველ და ახალ ბერძნულ, სერბულ, სომხურ, სპარსულ, კავკასიურ, ბასკურ, ნორვეგიულ, თურქულ, შვედურ, არაბულ, ფინურ, ჩეხურ, პოლონურ და ებრაულ ენებს.


	ინგლისური	რუსული	გერმანული	ფრანგული	იტალიური	ესპანური	სხვა
2011	51	8	5	7	2	3	20
2012	44	8	11	21	2	7	20

29 კომპანიის 41,4%-მა დადებითად უპასუხა კითხვას მათ მიერ ბოლო ორი წლის (2011-2012) განმავლობაში ქართულიდან უცხო ენაზე თარგმნილი წიგნების გამოცემის შესახებ. საქართველოში მოქმედი კომპანიების 58,6%-ს ამგვარი გამოცდილება არ აქვს.

2011-2012 წლებში წიგნები ქართულიდან ძირითადად რუსულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა (ებრაული, ესპანური, თურქული, ლათინური, ჩეხური, არაბული, ჰოლანდიური, სლოვაკური, გერმანული) ენებზე ითარგმნებოდა. წიგნების უმეტესობა, რომლებიც რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გადაითარგმნა სასკოლო სახელმძღვანელოები.

12 კომპანიის განცხადებით 2011 და 2012 წლებში ქართულიდან სხვა ენებზე სულ 179 წიგნი ითარგმნა. მათგან 2011 წელს - 34, 2012 წელს კი 145. ნათარგმნი წიგნების განწილება ენების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

2011-2012 წლებში ქართულიდან თარგმნილი დასახელებების რაოდენობა




ბექდვის ადგილი

შეკითხვაზე წიგნების ბექდვის ადგილის შესახებ კომპანიების ნახევარზე მეტმა თქვა (52%), რომ ისინი წიგნებს საქართველოში ბექდავენ. სამი კომპანია მთელ თავის პროდუქციას (100%) საზღვარგარეთ ბექდავს. დანარჩენები შერეული სტრატეგიით ხელმძღვანელობენ და ბექდვისას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ კომპანიებს მიმართავენ.

	9%	3%	9%	3%	3%	9%	12%	52%	100%
კომპანიების რიცხვი	3	1	3	1	1	3	4	17	33
საქართველოში დაბეჭდილი წიგნების %	0	20	6	30	40	80	90	100	

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამომცემლობები წიგნებს ბექდავენ თურქეთში, ჩინეთში, ინდოეთში, სლოვაკეთში, ტაილანდში, ჰონგ-კონგში, სომხეთში, ბულგარეთში, დიდ ბრიტანეთში, ინდონეზიაში. გამომცემლობებისთვის თურქეთი და ჩინეთი ამ თვალსაზრისით ბაზრის აბსოლუტურ ლიდერებს წარმოადგენენ (ბაზრის წილის 37 და 29%).


ქვეყნები, სადაც ქართველი გამომცემლები ბექდავენ წიგნებს



საავტორო უფლებების გაყიდვა

31 გამომცემლობიდან მხოლოდ ოთხს აქვს გაყიდული თავისი პროდუქციის საავტორო უფლებები.

ქართველი გამომცემლების წილი, ვინც თავისი პროდუქციის საავტორო უფლებები გაყიდა



2011 და 2012 წლებში ქართველმა გამომცემლებმა თავისი პროდუქციის საავტორო უფლებები შემდეგი ენებისთვის გაყიდეს:

ენები	2011	2012
ინგლისური	2	1
რუსული	1	1
გერმანული	2	1
ფრანგული	1	
ქართული	1	1
ხორვატული	1	
ჰოლანდიური	1	
შვედური	1	
პორტუგალიური	1	
ესტონური		1
ლატვიური		1

ელექტრონული წიგნების გამოცემა

2011 წელს 22-დან მხოლოდ სამმა, 2012 წელს კი უკვე რვამ გამოსცა 249 ელექტრონული წიგნი.

წელი	კომპანიების რიცხვი	ელექტრ. წიგნების რაოდენობა
2011	3	31
2012	8	218
სულ		249


2011 წელს გამოცემული 31 ელექტრონული წიგნიდან 22 (71%) ერთი კომპანიის პროდუქტი იყო. 2012 წელს ოთხმა კომპანიამ გამოუშვა 97 (44%), 65 (30%), 25 (11%) და 20 (9%) ელექტრონული წიგნი. დანარჩენები (11 წიგნი) მეტწილად თანაბრად გადანაწილდა დანარჩენ ოთხ კომპანიას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე წელს ელექტრონული წიგნების გამოცემული რაოდენობის მიხედვით სხვადასხვა კომპანიები ლიდერობდნენ.

ელექტრონული წიგნების რაოდენობის გადანაწილება კატეგორიების მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში:

კატეგორია	2011	2012
მხატვრული ლიტერატურა	1	111
არაბელეტრისტიკა	1	6
წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისთვის	5	4
სასკოლო სახელმძღვანელოები		1
მეცნიერება	1	12
სხვა		7

ელექტრონული წიგნების უმრავლესობა ადგილობრივი დისტრიბუტორების (bookland.ge, lit.ge, market.ge) ან ბეჭდური წიგნების ადგილობრივი დისტრიბუტორების ვებგვერდებიდან იყიდება. მათი თანაბარი წილი (11%) იყიდება გამომცემლობების ვებგვერდებისა და მსოფლიო დისტრიბუტორების მიერ.


ელექტრონული წიგნების გავრცელების არხები



2012 წელს ქართულმა გამომცემლობებმა 1,425 ელექტრონული წიგნი გაყიდეს. 2011 წლის გაყიდვების შესახებ კომპანიებმა მონაცემები ვერ მოგვაწოდეს.

ქართველი მწარმოებლების მიერ ელექტრონული წიგნებისთვის გამოყენებული ფორმატებია PDF, EPub, Mobi ან სხვა ადგილობრივი და რეგიონული ფორმატები.

ფორმატი, რომელსაც ქართული გამომცემლობები ელექტრონულ წიგნებისთვის იყენებენ



კვლევის 32 მონაწილიდან თითქმის ნახევარი აპირებს 2013 წლიდან დაიწყოს ელექტრონული წიგნების გამოშვება.

წიგნის გამავრცელებლები და მაღაზიები: კვლევის შედეგები

თამარ ჯანაშია და გიორგი საბანაძე

გამოწვევები:

საქართველოში მომუშავე წიგნის დისტრიბუტორებისა და წიგნის მაღაზიების კვლევამ რამდენიმე საკითხი გამოავლინა:

- კომპანიების მხრიდან კვლევისა და მისი კითხვების მიმართ დამოკიდებულება გაცილებით უფრო დადებითი იყო ვიდრე გამოცემლობების შემთხვევაში. კომპანიის ხელმძღვანელები ადვილად თანხმდებოდნენ კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე და მისი მიმდინარეობისას პასუხების დაზუსტებისა და დეტალების დადგენის მიზნით სხვა თანამშრომლებსაც იწვევდნენ. ზოგიერთმა წიგნის მაღაზიამ ითხოვა დრო მონაცემების გადასამოწმებლად და მათი მკვლევარებისთვის ორი-სამი დღის ვადაში მისაწოდებლად.
- იმ შემთხვევების უმეტესობაში, როცა დისტრიბუტორებს ან წიგნის მაღაზიების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ზუსტი რიცხვების მოწოდება ამის მიზეზი ძირითადად ტექნიკური პრობლემა და არა ინფორმაციის დაფარვის სურვილი იყო. კომპანიების უმეტესობა პროდუქციის რეგისტრაციისა და ხარჯთაღრიცხვის ახალ სისტემაზე ორი-სამი წლის წინ გადავიდა, რის გამოც მათთვის ამ პერიოდზე უფრო ადრე არსებული მონაცემების მოპოვება ძალიან რთული და დროის თვალსაზრისით ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა.
- წიგნის მაღაზიების შემთხვევაში გამოიკვეთა კიდევ ერთი დამატებითი პრობლემა:
 - ა. არსებული რეგისტრაციის სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ავტომატურად მოხდეს წიგნის კატეგორიების გამიჯვნა. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მარტივია გაყიდული დასახელებების რაოდენობების დათვლა, მაღაზიები ვერ ახერხებენ წიგნის დასახელებების კატეგორიების მიხედვით დაყოფას გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს ყველა დასახელების შემთხვევაში სათითაოდ არ ხდება.
 - ბ. წიგნის მაღაზიების ზოგიერთ ქსელს არ აქვს ხარჯთაღრიცხვის ინტეგრირებული სისტემა, რის გამოც მკვლევარს უწევდა ქსელის ყველა ცალკეული მაღაზიის მენეჯერთან ცალ-ცალკე ინტერვიუების ჩატარება წიგნების რიცხვის, კატეგორიებისა და დასახელებების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად.გამომცემლების მსგავსად (თუმცა ნაკლებად) ზოგიერთმა დისტრიბუტორმა ან წიგნის მაღაზიამ მოგვაწოდა დამრგვალებული ციფრები, რაც იმას ნიშნავს, რომ წიგნებისა და დასახელებების რაოდენობების შესახებ ზოგიერთ კონკრეტულ კითხვაზე პასუხი გარკვეულ ცდომილებას შეიცავს (1-2%).
- ზოგადად დისტრიბუტორებმა და წიგნის მაღაზიებმა უკეთ ორგანიზებული (ეს ეხება პროგრამულ უზრუნველყოფასაც) შთაბეჭდილება დატოვეს. მათ ასევე უფრო კონკრეტული და უკეთესი წარმოდგენა აქვთ თავისი საქმიანობის შესახებ.


ზოგადი დასკვნები (წიგნის გამავრცელებლებისა და მაღაზიების ტიპები, გაყიდული წიგნების რაოდენობა, პრიორიტეტები)

შენიშვნა: თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოყვანილი შედეგები ეფუძნება მხოლოდ კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და შესაბამისად ნაწილობრივ ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15 კომპანიამ. მათ შორის იყო 3 დისტრიბუტორი და 12 წიგნის მაღაზია.

კვლევის მონაწილეებისგან მიღებული პასუხების მიხედვით სადისტრიბუციო კომპანიებსა და წიგნის მაღაზიებში სრულ და ნაწილობრივ შტატზე მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა (დამოუკიდებელი და მოკლევადიანი კონტრაქტით მომუშავე პერსონალი გათვალისწინებული არ ყოფილა) 1-დან 20-მდე მერყეობს. 14-დან მხოლოდ ერთ კომპანიას ჰყავდა 100-ზე მეტი თანამშრომელი. ფირმების უმეტესობაში 6-10 ადამიანია დასაქმებული. არც ერთ კომპანიას არ მიუთითებია 21-50 ან 51-100 თანამშრომელი.


სადისტრიბუციო კომპანიებსა და მაღაზიებში სრულ და ნაწილობრივ შტატზე მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა



კითხვაზე კომპანიის მფლობელობის წილის შესახებ 14 კომპანიამ (93%) უპასუხა, რომ ისინი კერძო მფლობელობაშია და მათში მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალია დაბანდებული. თითხმეტიდან მხოლოდ ერთი კომპანია სახელმწიფო მფლობელობაში (7%). გამოკითხულ არც ერთ კომპანიაში არ არის უცხოური კაპიტალი ან შერეული ტიპის კერძო/სახელმწიფო მფლობელობა.

2012 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ დასმულ კითხვას თხუთმეტიდან ათმა კომპანიამ უპასუხა. ფორმების 40%-მა მიუთითა, რომ მათი შემოსავალი 50,000 ლარზე ნაკლებს შეადგენდა (დაახლ. 30,200 აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი). კომპანიების 30%-ის შემოსავალი 50,000-200,000 ლარს შორის მოექცა (დაახლ. 30,200-120,800 აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი), 20%-ის შემოსავალმა 1,000,001 ლარს გადააჭარბა (დაახლ. 613,497 აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი), 10%-მა კი 200,000-500,000 ლარს შორის არსებული შემოსავალი მიიღო (დაახლ. 120,800-306,748 აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი).

ქართული სადისტრიბუციო კომპანიებისა და წიგნის მაღაზიების შემოსავალი 2012 წელს



სამუშაო გეოგრაფიული არეალის მხრივ მდგომარეობა შედარებით ერთფეროვანია. ორმა კომპანიამ აღნიშნა, რომ ისინი თბილისსა და ბათუმში მუშაობენ; ორმა მიუთითა, რომ საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი და ა. შ.) ოპერირებს. დანარჩენი კომპანიები მხოლოდ თბილისში ასრულებენ თავის სამუშაოს. თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ გამოკითხვა მხოლოდ იმ კომპანიებს შორის ჩატარდა, რომელთა სათავო ოფისებიც თბილისში იმყოფება (შეუძლებელი იყო პროექტის ფარგლებში კვლევის ჩასატარებლად რეგიონებში გასვლა). საქართველოსთვის დამახასიათებელია, რომ ბიზნესების უმეტესობის სათავო ოფისები სწორედ თბილისშია რეგისტრირებული და საქმის წარმოებაც დედაქალაქიდან ხდება.

14-დან 13-მა კომპანიიდან აღნიშნა, რომ ისინი დამოუკიდებლად და დარეგისტრირებული და არ არიან დაკავშირებული რომელიმე გამომცემლობასთან. მხოლოდ ერთმა კომპანიამ მიუთითა, რომ ის გამომცემლობის ნაწილია.

თხუთმეტიდან მხოლოდ შვიდმა რესპონდენტმა გასცა პასუხი კითხვას მათ მიერ 2012 წელს გავრცელებული/გაყიდული დასახელებების რაოდენობის თაობაზე. მონაცემები 2011 წლის შესახებ მხოლოდ ორმა, 2010-ის შესახებ სამმა, 2008 და 2009 წლების შესახებ კი ერთმა კომპანიამ მოგვანაწიდა. როგორც ზოგად შენიშვნებში უკვე აღვნიშნეთ, კომპანიების უმეტესობამ ორი-სამი წლის წინ შემოიღო ხარჯთაღრიცხვის ახალი სისტემა. როგორც დისტრიბუტორებს, ისე წიგნის მაღაზიებსაც გაუჭირდათ 2012 წლამდე არსებული მონაცემების მოწოდება. ამიტომაც ეს მონაცემები ვერ ჩაითვლება რეალობის ამსახველად. იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ მკვლევარები გაყიდული წიგნების რაოდენობის შემთხვევაშიც. ზოგი კომპანია ძალიან შეეცადა მონაცემების დათვლას, ზოგს არ ჰქონდა წვდომა იმავე ფორმატის წინა წლების ინფორმაციაზე და მათთვის ძალიან დიდი დრო დასჭირდა ყველა მონაცემის ცალ-ცალკე მოგროვებასა და დაჯამებას.


გავრცელებული/გაყიდული დასახელებების რიცხვი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში:

წელი	რაოდენობა (ცალი)	კომპანიების რაოდენობა	საშუალო რიცხვი
2012	23,448	7	3,350
2011	2,300	2	1,150
2010	5,565	3	1,855
2009	4,320	1	4,320
2008	7,531	1	7,531

თხუთმეტიდან რვა კომპანიამ მოგვაწოდა მონაცემები 2012 წელს გავრცელებული/გაყიდული წიგნების რაოდენობის შესახებ. ინფორმაცია წინა წლების შესახებ მხოლოდ ოთხ (2011), ხუთ (2010) და ორ (2008 და 2009) მათგანს ჰქონდა. ამიტომაც, ამ წლების განმავლობაში თანმიმდევრული ინფორმაციის არარსებობა ამ მონაცემებს გამოუსადეგარს ან მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენებადს ხდის.

ქართული სადისტრიბუციო კომპანიებისა და წიგნის მაღაზიების გაყიდვის არხები ბითუმად მოვაჭრეებს, წიგნის მაღაზიებს, სხვა მაღაზიებს (მაგ. სუპერმარკეტები) და პირდაპირ გაყიდვებს შორის ნაწილდება. წიგნის მაღაზიებს ბაზრის უდიდესი წილი უკავიათ (78%), მათ მოსდევენ ბითუმად მოვაჭრეები და პირდაპირი გაყიდვები (ბაზრის 9%). სხვა მაღაზიების (სუპერმარკეტები) წილი 3%-ია. ონლაინ გაყიდვებმა მთლიანი გავრცელების/გაყიდვების 1%-ზე ნაკლები შეადგინა.


ქართული დისტრიბუტორებისა და მაღაზიების გაყიდვის არხები



შეკითხვას მომწოდებლების შესახებ თხუთმეტიდან ცამეტმა კომპანიამ უპასუხა. ათმა მათგანმა თავის მომწოდებლად ყველა დიდი საქართველოში მოქმედი გამომცემლობა დაასახელა. ერთმა კომპანიამ აღნიშნა, რომ ის გასავრცელებელი/გასაყიდი წიგნების 100%-ის იმპორტს ახდენს (გამომცემლობა Pearson). მეორე კომპანიის მომწოდებლებს შორის არიან Taschen (90%) და Ullman (10%). ერთ-ერთი დისტრიბუტორი მხოლოდ ხუთი კონკრეტული გამომცემლობის წიგნებს ავრცელებს.

ძირითად მომწოდებლებს (გამომცემლობებს) შორის საშუალო განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

ქართული სადისტრიბუციო კომპანიებისა და მაღაზიების მიმწოდებლები




შარშან “პალიტრა” ბაზრის აბსოლუტური ლიდერი გახდა (ბაზრის წილი 28%) მას შემდეგ, რაც ახალი მასტიმულირებელი სტრატეგია დანერგა და წიგნების უფასოდ ან ძალიან დაბალ ფასად თავისივე

გამოცემული გაზეთებისა და ჟურნალების დამატებად გავრცელება დაიწყო. მას მოსდევნენ “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” (19%), “დიოგენე” (14%) და “ელფი” (1%). მომწოდებლების 38%-ს ჯამურად სხვა კომპანიები შეადგენენ.

წიგნების გამომცემლობებისგან შექმნის/ჩაბარების მიღებული პრაქტიკის მხედვით დისტრიბუტორები და წიგნის მაღაზიები არ მისდევნენ შეკვეთების დადგენილ მკაცრ ან რეგულარულ პერიოდულობას. ისინი გამომცემლობებისგან წიგნებს მაშინ იბარებენ, როცა კონკრეტული დასახელების გამოცემის რაოდენობა შემოაკლდება. გადაწყვეტილებას შეკვეთის სიხშირის შესახებ ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად და კონკრეტულ საგამომცემლო სახლთან დაკავშირებით იღებენ. არსებობს შემთხვევები, როცა წიგნის სწრაფად გაყიდვის შემთხვევაში დისტრიბუტორები/მაღაზიები გამომცემლობას ერთი დღის განმავლობაში რამდენჯერმეც კი სთხოვენ მათთვის წიგნის მიწოდებას. მხოლოდ ერთმა, იმპორტირებული წიგნების გაყიდვაზე სპეციალიზებულმა მაღაზიამ აღნიშნა, რომ შეკვეთას მხოლოდ წელიწადში ორჯერ აკეთებს.

დისტრიბუტორები/წიგნის მაღაზიები თავისი კონკრეტული სპეციალიზაციის სფეროს შერჩევასა პრიორიტეტს სასკოლო წიგნებს ანიჭებენ (24%). მათი დაინტერესების შემდეგი საგანია წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისათვის და მხატვრული ლიტერატურა (თითოეული 22%). სამეცნიერო წიგნების გაყიდვები (18%) მცირედ უსწრებს წინ არაბელეტრისტიკას (14%).

დისტრიბუტორებისა და წიგნის მაღაზიებისთვის პრიორიტეტული წიგნის კატეგორიები



რეალურად გავრცელებული/გაყიდული წიგნების კატეგორიებად დაყოფისას 43% ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილ წიგნებზე მოდის. შემდეგი კატეგორიებია მხატვრული ლიტერატურა (27%), არაბელეტრისტიკა (18%) და სკოლის წიგნები (7%). ყველაზე მცირე წილი სამეცნიერო წიგნების გავრცელება/გაყიდვას ეკუთვნის.

კითხვას ბოლო ორი წლის განმავლობაში კატეგორიების მიხედვით გავრცელებული/გაყიდული დასახელებების რაოდენობის შესახებ რესპონდენტების ძალიან მცირე რიცხვმა გასცა პასუხი. ინფორმაცია 2012 წლის შესახებ ოთხმა, 2011 წლის შესახებ კი მხოლოდ ერთმა კომპანიამ მოგვაწოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიებს ძალიან გაუჭირდათ საბუღალტრო სისტემაში კატეგორიების ერთმანეთისგან გამოცალკეება და რაოდენობების დათვლა თითო-თითოდ მოუწიათ. იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ მკვლევარები კატეგორიების მიხედვით გაყიდული წიგნების რაოდენობის დათვლის შემთხვევაშიც. 2012 წლის მონაცემები სამმა, 2011 წლის ინფორმაცია კი მხოლოდ ერთმა კომპანიამ მოგვაწოდა. ამიტომაც მიღებული ინფორმაციის გამოყენება შედარების ან რაიმე ტენდენციის იდენტიფიცირებისთვის შეუძლებლად მიგვაჩნია.

დისტრიბუტორების ან წიგნის მაღაზიების კლიენტები ანგარიშსწორებისას უპირატესობას ნაღდი გადახდის საშუალებებს ანიჭებენ (43%). თუმცა წიგნების შესყიდვები საბანკო გადარიცხვების (30%) ან საბანკო ბარათის გამოყენებითაც ხორციელდება (27%).

ფასდაკლება, რომელსაც დისტრიბუტორები/წიგნის მაღაზიები გამომცემლობებისგან იღებენ 10-40%-ის ფარგლებში მერყეობს. ჩვეულებრივ, ის ინდივიდუალური შეთანხმების საგანია და ყველა შემთხვევისთვის განსხვავდება გამომდინარე იქედან, რომელი გამომცემლობაა მომწოდებელი. გამომცემლობები ჩვეულებრივ დისტრიბუტორებს/მაღაზიებს დიდი პარტიის შექმნის შემთხვევაში არ სთავაზობენ რამე ტიპის დამატებით ფასდაკლებას. დისტრიბუტორები/მაღაზიები თითქმის არასდროს იბარებენ გამომცემლობებისგან წიგნების დიდ პარტიებს. იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ საწყობების გამოყენება და დამატებითი ფინანსური ვალდებულებები, ისინი უპირატესობას გამომცემლობებისგან წიგნების მცირე რაოდენობით ჩაბარებას ანიჭებენ და მოგვიანებით დამატებით მცირე ზომის შეკვეთებს აუცილებლობიდან გამომდინარე აკეთებენ.


წიგნის თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის განსხვავება გავრცელების/გაყიდვის შემთხვევაში

საშუალოდ 5-40%-ია იმ წიგნებისთვის, რომლებსაც დისტრიბუტორი/მაღაზია გამომცემლობებისგან 10 ლარად (6,15 აშშ დოლარი) იბარებს. გამოკითხულთა უმეტესობა წიგნის თვითღირებულებას 40%-ს, 20% კი 25%-ს ამატებს. ერთმა კომპანიამ, რომელიც მხოლოდ წიგნების იმპორტს ეწევა აღნიშნა, რომ ცდილობს ფასნამატის შემდეგ წიგნს ისეთივე ფასი შეუნარჩუნოს, რა ფასადაც ის ევროპაში იყიდება.

დისტრიბუტორების/წიგნის მაღაზიების 53,3% იმპორტირებულ წიგნებს, 46,7% მხოლოდ ადგილობრივ პროდუქციას ყიდის. დისტრიბუტორების/მაღაზიების მიერ იმპორტირებული წიგნების გაყიდვის წილი 3-დან 100%-მდე მერყეობს.

2012 წელს რუსულენოვანი წიგნები იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვების მხრივ ბაზრის აბსოლუტურ ლიდერს წარმოადგენდა (50%). მას მოსდევდა ინგლისურენოვანი (32%), გერმანული, ფრანგული და სხვა ენებზე გამოცემული წიგნები (თითოეული 6%). 2011 წელს გაყიდვების მხრივ ლიდერობდნენ ინგლისურენოვანი წიგნები (38%). ამ წელს გაყიდული იმპორტირებული წიგნების 25% რუსულენოვანი იყო. დანარჩენი გაყიდული პროდუქცია გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე იყო გამოცემული. 2011 წლის მონაცემები მხოლოდ სამმა კომპანიამ მოგვაწოდა, 2012 წლის - რვამ.

იმპორტირებული წიგნების გაყიდვები ენების მიხედვით, 2012



თითქმის ყველა წიგნის მაღაზიამ ახსენა ისეთი დამატებითი პროდუქციის გაყიდვა როგორცაა საკანცელარიო საქონელი (29%), სუვენირები (29%), რუკები, პლაკატები, სახატავი მასალები (16%), DVD/CD (26%) და ა. შ. მაღაზიების 53%-სთვის (7 რესპონდენტი) დამატებითი საქონლის გაყიდვებიდან შემოსულმა თანხამ შემოსავლის 85%, 16%-სთვის 25%, 13%-სთვის კი 20% შეადგინა. სხვა მაღაზიებისთვის დამატებითი გაყიდვებიდან მიღებული თანხა შემოსავლის 15% იყო.

